ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3843326

ნომერი: AR1577421

თარიღი : 14.02.2018

გაცემის თარიღი : 27.02.2018

გაცნობის თარიღი : 02.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 31 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა მაისურაძე პ/ნ 01024034235
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 47ა ბ. 19

ორგანიზაცია:

- შპს ანა კოდი: 211424424

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია კვლავ არ იძლევა სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის საერთო ხედის აღქმის და ამის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ:

1. უფრო შორი მანძილიდან და სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ერთიანი ფოტომასალა (და არა ფრაგმენტალური, როგორც ეს წარმოდგენილი გაქვთ), სადაც ნათლად გამოჩნდება მთლიანი სიტუაცია.

2. ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, აბრაზე უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი წარწერა სიმბოლოების გარეშე და არა გადატვირთული ხასიათის წარწერები. სასურველია სარეკლამო აბრა მოეწყოს მხოლოდ შესასვლელი კარის თავზე არსებულ ღიობზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოსადგენია არსებულ სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი (დამატებითი წარწერების გარეშე), ყველა გაბარიტული ზომის და მასალის მითითებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.